სახალხო გაზეთი

№ 852 პარასკევი, 22 მარტი 1913 წ. № 852

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუზრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და [illegible] ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წლიურ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება
სურათებიანი დამატება
(კვირაობით)

პრემიად 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ორი წიგნი**

1) **უცხოეთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—**კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.
2) **ქართველი ერის ისტორია**, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.

ათი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადიხადონ. ნაწილობით **მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელისმოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება:
1) **,,სახალხო გაზეთი''-ს კანტორაში,** (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2. **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში,**
3. **ფოსტით:** Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.

მიხეილ (კაკო) გიგოს ძე ბერეჟიანი, ნინო და ელისაბედ ბერეჟიანისა, ბაბალე და დიმიტრი ნაკაშიძენი, ეფროსინე პელაგია, გიგო და ჯიმშერ ბერეჟიანები, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ, 20 მარტს გარდაიცვალა პირველის ძვირფასი მეუღლე, დანარჩენების რძალი

მარო ბერეჟიანისა კუკულავას ასული.

პანაშვიდები ყოველ-დღე, საღამოს 6 საათზე, კურსკის მისახვევი № 10. დაკრძალვა კვირას, 24 მარტს, კუკიის სასაფლაოზე. 167.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** **ტელეფ. № 79.**

ორშაბათს, 25 მარტს, ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ, წარმოდგენ. იქნება პირველად ქართულ სცენაზე ძველ საბერძნეთის გამოჩენილ ტრაღიკოსის **სოფოკლესის** ცნობილი ანტიური ტრაღედია **ედიპე მეფე** თარგმანი კონსტ. ანდრონისა.

წარმოდგენის დაწყებამდე **მიხ. წულუკიძე** წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:
„ანთიკური ტრაღედია და ედიპე მეფე“

ტრაღედია დადგმული იქნება ცნობილ რეჟისორის **რეინჰარდტის** გეგმით, რისთვისაც სცენა და პარტერი შეერთებული იქნება. მოქმედება უმთავრესად სწარმოებს პარტერში და იმ ალაგას, სადაც იმყოფება ორკესტრი. პარტერის პირველი სამი რიგი აღებულია და ეს ადგილი მოწყობილია ძველ საბერძნეთის თეატრის სცენის მიხედვით. რადგანაც მომქმედნი პირნი თეატრის ფოიესა და კორიდორებიდან გამოვლენ, ამიტომ მსახიობთა ამხანაგობის რეჟისურა უმორჩილესად სთხოვს დამსწრეთ, მეორე ზარის შემდეგ ყველამ თავისი ადგილი დაიჭიროს. **დასაწყ. საღ. 8½ ს. წარმოდგ. დაწყების შემდეგ თეატრში აღარავის შეუშვებენ. ედიპეს** როლს შეასრულებს **ვ. გუნია მონაწილეობს მთელი დასი, 50 კაცი და სიმებიანი ორკესტრი ,,ახალი კლუბისა'' ბ ნ პრესმანის ლოტბარობით.**

ადგილების ფასი საბენეფისოა. ბილეთები უკვე იყიდება თეატრის კასაში.

1094 რეჟისორი **კ. ანდრონიკაშვილი.** ადმინ. **იორდანიშვილი.**

შაბათს, 23 მარტს, 1913 წ., საღამოს 8 ს., მოხდება

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების წევრთა მორიგი კრება,

რომელზედაც საზოგადოების წევრი **იპოლიტე ვართაგავა** წაიკითხავს მოხსენებას:

„რაფიელ ერისთავი და იმისი შემოქმედება“.

კრება მოხდება ტფილისის თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს ბინაზე (ბელინსკის ქუჩა, სახლი № 2).

ხელის მოწერით გამოიცემა ე. ზოლას
,,ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში''
ი. გ. ავალიშვილის ნათარგმნი.

დაკვეთა შეიძლება: ტფილისში—ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. წიგნის მაღაზიაში და სინოდალ. კანტ. დავით ნახუცრიშვილთან, **თელავში** თელავის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **ქუთაისში**—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტორა ,,იმერეთში'', **ხონში**—ხონის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **სამტრედიაში**—სამტრედ. ქ. შ. წ.-კ. განყ. წიგნ. მაღაზიაში და ნაცვალიძესთან, **გორში**—ქეთევან [illegible]ხიშვილის ასულთან, **სოხუმში**—ნ. ჯანაშიასთან, **კავკავში** მასწავლ. ბურჯანაძესთან, **ოზურგეთში**—მ. თალაკვაძეს და სტ. კალატოზიშვილის წიგნის მაღაზიაში, **ხესტაფონში**—პლატონ კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში, **ჩოხატაურში**—სილიბისტ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში, **ბათომში**—წიგნის მაღაზია ,,განთიადში'', **სიღნაღში**—ნიკო ახმეტელაშვილთან.

,,ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში'' ,,მოამბის'' ზომისა (400 გვ.) იქნება და წინასწარის დაკვეთით ეღირება 60 კ. მხოლოდ გასაყიდი ფასი იქნება 1 მან. 1107

ქ. ქუთაისი **ანონსი**
კვირას, 31 მარტს,
ი. გრიშაშვილის თაოსნობით გაიმართება საინტერესო მუსიკალურ-ლიტერატურული
საღამო-მეჯლისი
1) ლექცია. 2) წარმოდგენა. 3) სიმღერა. 4) დეკლამაცია.
დაწვრილებით შემდეგ.

1117

ავლაბრის სახალხო ქართულ წარმოდგენების მმართ. წრის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ, რადგანაც **უკვე შეუდგა საზაფხულო სეზონის გახსნას,** ამის გამო **იწვევს სცენის მოყვარეთ, როგორც ქალთ, აგრეთვე მამაკაცებს.** სეზონი მოსალოდნელია მალე გაიხსნას. რეპერტუარი შემდგარია სრულიად სხვა პიესებით, რომელიც შარშანდელ სეზონში არ ყოფილა დადგმული.

ამის გამო იმ პირთ, რომელნიც **მოისურვებენ დასში ჩაწერვას,** უნდა მიმართონ ამავე წრის რეჟისორს მსახიობ **ი. ივანიძეს,** Католическая № 14, დილის 10—12 ს.-დე. სეზონის გახსნის შემდეგ კი თეატრის კანტორაში, ყოველ დღე საღამოს 7—10 საათამდე. 1029

გამომცემლობა და -ჟურნალ-გაზეთების კანტორა- „იმერეთი“ ქუთაისში,
ამით აცხადებს, რომ იგი შეუდგა
გიორგი ქალადიდელის (ქორჩაძის)
ნაწერების გამოცემას. წიგნს წამძღვარებული ექნება ბიოგრაფია **იონა მეუნარგიასი,** კრიტიკული განხილვა—**ივანე გომართლისა,** სურათი და ფაქსიმილე. წიგნი იქნება 200—250 გვ. და ეღირება ხელის მოწერით 10 შაური, ხოლო გამოცემის შემდეგ 15 შაური. ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში კანტორა ,,იმერეთში'', **ტფილისში**—ქ. შ. წ.-კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში და გამომცემლობა ,,იმერეთის'' ყველა იმ აგენტებთან, რომლებიც გამოცხადებულია ,,თემ''-ში, ,,კოლხიდა''-სა და ,,დილა"-ში. **ისიდორე კვიცარიძე.** 1113

ამით საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ **ცნობილი**
პასხალიდის აბრეშუმის თესლი
ჩვეულებისამებრ **იყიდება მ. გ. რუსიძის კანტორაში, ბათუმში,** მარინსკი პროსპექტზე, საკუთარ სახლში № 10.

სამუდამო და შეურყეველი გადაწყვეტილებაა: თესლს რაც უფრო ადრე დაიბარებენ მყიდველები, იმდენ დ უფრო იაფად შეიძენენ, რაც გვიან, იმდენად ფასი მატულობს. **პასხალიდის თესლის მუდმივ მყიდველებს კანტორა** ამით მოაგონებს, რომ თესლი დროიანად დაიკვეთონ, ვინაიდან, როგორც გაზეთებშიაც იყო აღნიშნული, ბალკანეთის ომის გამო, წელს თესლების გამოსასვლელი გზა დაკეტილია (მხოლოდ მცირეოდენმა გამოასწრო გზის დაკეტვას), რის გამოც მოსალოდნელია, ბევრი მეაბრეშუმე დარჩეს უთესლოთ.

ტფილისისა, ქუთაისისა და ბათუმის გუბერნიების ერთად-ერთი წარმომადგენელი პასხალიდის აბრეშუმის თესლისა **მ. გ. რუსიძე.** 1079

დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოა.

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**
წამლობა ჭლექისა. იღებს შინაგან სნეუ. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინითა, რძლის პრეპარატებით** და **პნევმოტორაქსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: **ხოლოდნ. გ.,** ზუბალოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე).
ტელეფ. 7—93. 97

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ძსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.
ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილებ.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. **ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** (სამშ. ხუთ. შაბ.) 11—12 ს.
ქირურგიული სნეულებანი.	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.) **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი ა. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
ქალთა და საშოსნო სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკა-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **თაყაიშვილი ა. ე.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ხულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. და სულ. სნეულ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** (ოთხშაბ., პარასკ. და კვირას) 11—12 ს. **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყურის, ყელის და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½ **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; ,,606'' ,,914'' და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა. ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

სატივო ,,ცოცხალი''

1114.

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდობის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგანავადმყ. 8½ ს. 10 ს.
ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.
ბ. ა. პიპიევი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ და ცხვ. სნეულ. 11—11½.
ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ საათ.
ვორობიევი. შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.
ნ მ. მელიქიშვილი ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა ,,606''-ით. 1053

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღებ. რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ბოთაშანგისა და კანის ავადმყ.; გასხერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე
იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

სამტრედიაში
ექიმი ე. ქ. აბულაძე იღებს ავადმყოფ. ყოველ დღე, აგრეთვე **წამლობს „606“** და **„914“.** 1118

ახალი მუშათა კანონი

I.

წარსულ 23 ივნისს უმაღლესად დამტკიცდა სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს მიერ მიღებული კანონი მუშათა შესახებ, რომელსაც ამ ჟამად ახორციელებენ. ეს კანონი ორ ნაწილიდან შესდგება: პირველი შეეხება მუშათა დაზღვევას ავადმყოფობისაგან, მეორე—უბედურ შემთხვევათაგან. განვიხილოთ მთავარი მუხლები ამ დიდმნიშვნელოვან კანონისა.

კანონი მუშათა უზრუნველყოფობის შესახებ ავადმყოფობის დროს აწესებს „საექიმო დახმარების მიწოდებასა და ფულით შემწეობის მიცემას, როცა მუშა, ან საფაბრიკოსაქარხნო და სამთო-მადნო წარმოების მსახური, ავად გახდება“. ეს შეეხება მხოლოდ ისეთ საწარმოო საქმეს, სადაც, თუ ორთქლითა და მაშინებით მუშაობენ, არა ნაკლებ 20 მუშისა არის, ხოლო სადაც არც ორთქლის ქვაბია, არც მაშინები, არა ნაკლებ 30 მუშისაა. სათვალავში იღებენ მხოლოდ „მუდმივ“ მუშას. სამუშაო, რომელიც ერთ კვირეზე მეტს არა გრძელდება, შემთხვევით მუშაობად ითვლება. საექიმო დახმარება ოთხნაირია: 1) პირველდაწყებითი—უეცრად ავად გახდომის დროს, ან უბედურ შემთხვევის დროს, 2) საამბულატორიო წამლობა (საავადმყოფოში მოსიარულე ავადმყოფთა), 3) საავადმყოფოში მწოლიარეთა წამლობა და 4) მშობიარობის დროს დახმარება. იმ შემთხვევაში, როცა უბედურ შემთხვევას ან ავადმყოფობას მოსდევს მუშაობის უნარის დაკარგვა სამუდამოდ, საამბულატორიო და საავადმყოფოში წამლობა გრძელდება არა უმეტეს 4 თვისა, ხოლო თუ ასეთი შედეგი არ არის მოსალოდნელი, წამლობა გრძელდება იმ დრომდე, სანამ მუშა საავადმყოფო კასსის წევრია.

საავადმყოფო კასსები არსდება ყოველს საწარმოვო საქმეში, სადაც 200 მუშაზე ნაკლები არაა, ხოლო ის საწარმოვო საქმეები, სადაც ამაზე ნაკლები მუშაა, ერთდებიან ერთმანეთში და ისე აარსებენ კასსას. საავადმყოფო კასსის წევრებად საწარმოვო საქმის უთუოდ ყველა მუშა უნდა იყოს. კასსების საქმეებს აწარმოებენ საზოგადო კრებანი და გამგეობანი. კასსის საზოგადო კრება შესდგება: 1) კასსის მონაწილეთა (ესე იგი მუშათა და მსახურთა) წარმომადგენლებისაგან და 2) საწარმოვო საქმის პატრონთა წარმომადგენლებისაგან. კასსის მონაწილენი ირჩევენ თაყიანთ-შორის რწმუნებულთ არა უმეტეს 100 კაცისა. კასსის გამგეობა შესდგება არჩეულ და დანიშნულ წევრებისაგან; პირველთ ირჩევენ კასსის მონაწილეთა რწმუნებულნი (ე. ი. მუშები), ხოლო მეორეთ ნიშნავს საწარმოვო საქმის პატრონი. პირველთა რიცხვი ერთით უნდა იყოს მხოლოდ მეტი, ვიდრე მეორეთა. საწევრო გადასახადი კასსის მონაწილეთა დაწესებულ უნდა იქმნას საზოგადო კრების მიერ, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს სამუშაო ფასის 2 პროცენტს. მხოლოდ სადაც 400 მონაწილეზე ნაკლები იქნება, იქ შეიძლება თითო მონაწილეს თავის შემოსავლის 3 პროცენტი გადახდეს. ხოლო ვინც დღეში 5 მანათზე მეტს იღებს, ან წელიწადში 1500 მან., მისი საწევრო გადასახადი 5 მანათი უნდა იყოს წლიურად. თავის მხრით საწარმოვო საქმის მეპატრონეთ შეაქვთ კასსაში ორი მესამედი იმისა, რაც კასსის მონაწილეთ შეაქვთ. რაც შეეხება დახმარების რაოდენობას, რომელსაც კასსა გაიღებს, იგი დამოკიდებულია იმისაგან, ოჯახის პატრონია მუშა თუ არა: პირველ შემთხვევაში, ე. ი. თუ მასთან არიან ცოლი, შვილები ან ახლო ნათესავები, დახმარების რაოდენობა უდრის ნახევარს, ან ორ მესამედს ავადმყოფ მუშის ქირისას; მეორე შემთხვევაში დახმარების რაოდენობა ინგარიშება ქირის ერთი მეოთხედიდან ნახევრამდე. კასსის მონაწილის დამარხვისათვის კასსამ უნდა გაიღოს გარდაცვალებულ მუშის დღიური ხელფასი 20-ჯერ ან 30-ჯერ გამრავლებული.

გავიცნოთ ახლა კანონის მეორე ნაწილი—მუშათა დაზღვევა უბედურ შემთხვევათაგან. ეს კანონიც იმავ მუშებზე ვრცელდება, რომელთაც ეხება კანონი საექიმო დახმარების შესახებ (საავადმყოფო კასსები). კანონის საფუძველი შემდეგია: მუშათა დაზღვევა ხორციელდება საწარმოვო საქმეთა პატრონების ხარჯით. ამისთვის საწარმოვო საქმეთა პატრონები ჰქმნიან დამზღვევ ამხანაგობათ, რომელნიც შესდგებიან იმავ პატრონებისაგან. თითოეულ საწარმოვო საქმის პატრონთ გაეწერებათ განსაზღვრული საწევრო შესატანი და ამნაირად სდგება დამზღვევ ამხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავობის ფონდი, დაზღვეულ მუშათა შემწეობისათვის, პენსიისათვის და სხვა ხარჯისათვის... დაზარალებულ მუშას მიეცემა შემწეობა ან პენსია. თუ უბედურ შემთხვევისაგან გარდაიცვალა — მის ოჯახს პენსია დაენიშნება. დაზარალებულს, თუ იგი საავადმყოფო კასსის წევრია, მიცემა შემწეობა ფულად არა უმეტეს მისი ხელფასის ორი მესამედისა თვეში, დაწყებული მე-14 კვირიდან იმის შემდეგ, რაც უბედური შემთხვევა მოხდა იმ დრომდე, სანამ მუშაობას შესძლებს; ხოლო თუ დაზარალებული საავადმყოფო კასსის წევრი არაა, შემწეობის ძლევა იწყება იმ დღიდანვე, როცა უბედური შემთხვევა მოხდება. პენსია ენიშნება იმ დაზარალებულს, რომელიც ჰკარგავს მუშაობის უნარს. თუ დაბრმავდა, ან ჭკუაზე შეიშალა, ან ორივე ფეხი ან ორივე ხელი დაჰკარგა, ამ შემთხვევებში პენსიის რაოდენობა უდრის ამ მუშის სრულს ხელფასს (ანგარიში—წლიური); თუ უბედურ შემთხვევისაგან სრულებით ჰკარგავს მუშაობის უნარს, მაშინ პენსიის რაოდენობა უდრის ხელფასის ორ მესამედს; ხოლო თუ მუშას შერჩა ცოტაოდენი უნარი მუშაობისა, პენსია უმცირდება. უბედურ შემთხვევათაგან გარდაცვალებულ მუშების ოჯახს პენსია ენიშნება: 1) ქვრივს — მუშის ხელფასის ერთი მესამედი (სიკვდილამდე ან გათხოვებამდე), 2) შვილებს, სანამ თხუთმეტი წლისანი არ გახდებიან, თითოეულს ერთი მეექვსედი მამის ჯამაგირისა თუ დედა დარჩათ, ხოლო თუ სულ ობლები დარჩნენ—თითო მეოთხედი, 3) უახლოეს ნათესავთ—ერთი მეექვსედი, თუ ესენი გარდაცვალებულ მუშის სარჩენი იყვნენ, 4) ძმებსა და დებს მცირე წლოვანთ, სანამ 15 წლისანი შეიქმნებიან—აგრეთვე ერთი მეექვსედი. ყოველ დამზღვევ ამხანაგობას ადგილობრივ თავისი გამგეობა ეყოლება, ხოლო ცენტრალური დაწესებულება იქნება—„მუშების დაზღვევის საქმეთა საბჭო“, რომელიც არსდება ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან. დაზღვევის საქმეთა არც ადგილობრივს, არც ცენტრალურს დაწესებულებებში მუშათა წარმომადგენელები არ შედიან. ასეთია მთავარი მუხლები 23 ივნისის კანონისა. ეხლა გადავიდეთ მის საზოგადო მნიშვნელობისა და ღირსება-ნაკლულევანების დაფასებაზე და აგრეთვე განვიხილოთ ზოგი პრაქტიკული მხარე მის განხორციელების საქმისა.

სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერბურგის სააგენტო)

20 მარტის სხდომა.

თავმჯდომარეობს **როძიანკო.** სხვა და სხვა საკითხთა შორის შეტანილია საკანონმდებლო წინადადება პეტერბურგის უნივერსიტეტთან საექიმო ფაკულტეტის დაარსების შესახებ. **შინგარიოვი** წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ განიხილოს სათათბირომ კადეტებისა, პროგრესისტებისა და შრომის ჯგუფის შეკითხვები სამხედრო მინისტრის უკანონო საქციელის შესახებ, რაიცა გამოიხატა სამხედრო-საექიმო აკადემიის რეფორმაში. შინგარიოვის წინადადება სათათბირომ მიიღო. მდივანი სამივე შეკითხვას კითხულობს.

აჯემოვი აღნიშნავს: შეკითხვის მისაღებად საჭიროა იურიდიული სიცხადე შეკითხვისა, მისი სიმწვავე და არსებობა იმ პირობებისა, რომელთა თავის დროზე მოშორება მოსპობს მთავრობის უკანონო მოქმედების შედეგს. ამ ჟამად ყველა ეს პირობები ხელთა გვაქვს. ახალი კანონი საკანონმდებლო დაწესებულებებმა არ განახორციელეს, ძველი კი საკანონმდებლო წესით შემოიღეს. ამ საკითხში არსებობს ორი ელემენტი, რომელნიც ნათლად მოწმობენ, რომ 86 მუხლი ძირითადი კანონებისა დარღვეულია: ახალის წესდების ძალით სტუდენტები ითვლებიან სახელმწიფო სამსახურში სწავლის დროს, რითაც საპენსიო წესდება ირღვევა. პირველი ორი კურსის სტუდენტები ითვლებიან თავისუფალ ჯარისკაცებად, შემდეგი კურსებისა კი ექიმებად, რომელნიც სამხედრო ბეგარისაგან თავისუფლდებიან. ამით კი ირღვევა ზოგიერთი მუხლები სამხედრო წესდებისა. რეფორმამ ყველგან აღშფოთება გამოიწვია. განადგურებულია დაწესებულება, რომელსაც ასის წლის ისტორია აქვს, რომელმაც მოგვცა მრავალი მეცნიერი და თავდადებული ექიმი. აკადემია რომ ასის წლის იუბილეის დღესასწაულობდა, მთელი ქვეყნიდან მისალოცი დეპეშები მოდიოდა. უცხოელებმა იციან დაფასება, ჩვენები კი ამ დაწესებულებას ანადგურებენ. სათათბირომ უნდა მიიღოს შეკითხვა. თუ სამხედრო მინისტრი კანონებს არღვევს და სათათბიროს ანგარიშს არ უწევს, სათათბირომ უნდა უთხრას, რომ იგი ვალდებულია მეტის ყურადღებით მოექცეს საკანონმდებლო დაწესებულებას.

ეპ. ანატოლი აცხადებს: მემარჯვენენი შეკითხვის წინაამდეგნი არიან, რადგანაც ფიქრობენ, რომ იგი მონარქის პრეროგატივების წინააღმდეგ არის მიმართულიო.

შინგარიოვი ამბობს: შეკითხვა მონარქის პრეროგატივების წინააღმდეგ კი არ არის მიმართული, იგი იმას შეეხება, ვინც უმაღლესად დამტკიცებულ ძირითად კანონებს არღვევსო. ორატორს უკვირს, რანაირის სიმკაცრით გადაჰყარეს მოსწავლე ახალგაზრდობა ყოველ-გვარ მოულოდნელობის მორევში (ტაში მარცხნით). დასასრულ ორატორი სთხოვს სათათბიროს, სასწრაფოდ აღიაროს შეკითხვა, რადგანაც 800 მოსწავლე ქუჩაში გადაჰყარეს. სათათბირო ვალდებულია არამც თუ დაიცვას კანონი, მან უნდა სახელმწიფოს სიკეთეზედაც იზრუნოს, უნდა მოითხოვოს, რომ ისინი, ვინც განათლების წყარო გაანადგურა, აქ მოვიდნენ და გვითხრან — რასა ფიქრობდნენ, ან საზოგადოდ ფიქრობდნენ თუ არა, როდესაც მასხარად იგდებდნენ ახალგაზრდობას, შეურაცჰყოფდნენ პროფესორებს, აქრობდნენ უმაღლეს განათლებას. (ტაში მარცხნით) შეკითხვის სისწრაფე უარჰყვეს 180 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 131.

გოდნევი აცხადებს: მართალია მთავრობამ უკანონობა ჩაიდინა, მაგრამ მაინც საჭიროა შეკითხვა კომისიას გადაეცეს სამის დღით, რომ მან იურიდიული მხარე გამოარკვიოსო.

მარკოვი მეორე. მემარჯვენენი შეკითხვის სისწრაფის წინააღმდეგნი არიან, რადგანაც იგი სულელურია და მთავრობის საწინააღმდეგო. როდესაც საქმე სამხედრო დაწესებულებებს შეეხება, სამხედრო უწყებამ უნდა 96 მუხლი მოიხმაროს, და მოიქცეს ისე, როგორც იქცეოდა. მარკოვს მოსწონს ოფიცრის საქციელი, თავისი მოვალეობა აასრულაო (მარჯვნივ ტაში. დარბაზში ხმაურობაა).

ნეკრასოვი (ადგილიდან): ხულიგანო!

ზამისლოვსკი (ადგილიდან ნეკრასოვს უყვირის): არამზადა!

თავმჯდომარე. ნეკრასოვისა და ზამისლოვსკის სიტყვები ყოვლად შეუწყნარებელია; დროა, ბოლო მოეღოს ამას. წინადადებას გაძლევთ, ორი სხდომიდან დავითხოვოთ ზამისლოვსკი და ნეკრასოვი (ტაში ცენტრში).

ნეკრასოვი სათათბიროს წინაშე ბოდიშს იხდის, რადგანაც მარკოვის სიტყვების გამო წამოსცდა ურიგო სიტყვა; თავის დანაშაულობას აღიარებს და სთხოვს თავის ფრაქციის წევრებს, მხარი დაუჭირონ თავმჯდომარის სიტყვას და სხდომიდან განდევნონ (ოპოზიციის ძლიერი ტაში.).

ზამისლოვსკი. დამნაშავე ვარ, რომ ნეკრასოვს არამზადა ვუწოდე. (მარცხნით ძლიერი ხმაურებაა).

თავმჯდომარე განმარტავს: სიტყვას იმიტომ კი არ აძლევენ მოლაპარაკეს, რომ მან გაიმეოროს ურიგო სიტყვები; თუ ზამისლოვსკი კვლავ გაიმეორებს, სიტყვა წაერთმევა და უფრო ძლიერად დაისჯება.

ზამისლოვსკის აზრით თავმჯდომარენი ცალმხრივ სამართლიანობას სჩადიან; რადგანაც ლეგალურის გზით არ შეიძლება უსამართლობასთან ბრძოლა, იძულებულნი ვართ არალეგალურ ზომებს მივმართოთ.

თავმჯდომარე. სათათბიროს პატივისცემით უპასუხოდ ვტოვებ ზამისლოვსკის სიტყვას.

სათათბირომ ერთხმად მიიღო ზამისლოვსკის განდევნა, ნეკრასოვის განდევნის წინააღმდეგნი მხოლოდ სოც.-დემ. იყვნენ.

მორიგი საკითხი შრომის ჯგუფის სწრაფი შეკითხვაა იმავე საგანზე.

კერენსკი. სამხედრო უწყების მიერ ჩადენილი უკანონობა ცხადია, დარღვეულია სამხედრო ბეგარის წესდება; აკადემიის სტუდენტების მდგომარეობა საშიშ განხეთქილებას გამოიწვევს. მოლაპარაკე მოითხოვს სწრაფი განხილვა უკუაგდოს სათათბირომ და სამი დღის ვადა დაუდოს შეკითხვას.

კითხულობენ სწრაფ შეკითხვას შინაგან საქმეთა მინისტრისადმი, იმ ძალადობის შესახებ, რომელიც პეტერბურგის პოლიციამ იხმარა 17 მარტს სლავიანთა მანიფესტაციის მონაწილეებზე. მინისტრთა ლოჟაში სხედან შინაგან საქმეთა მინისტრი და მისი ამხანაგი ზოლოტარევი.

სავენკო. რუსეთის საზოგადოებას დიდი ხანია არ განუცდია სიხარულისა და აღტაცების წუთი; ბედმა საშუალება მოგვცა გვემხიარულა ჩვენი ერთმორწმუნე სლავიანთა სიხარულით. ყველას ახსოვს, რაც მოხდა სათათბიროში ადრიანოპოლის დამხობის გამო; საერთო აღტაცებაში წარიშალა პარტიული ზღუდენი. სათათბიროსთან ერთად დღესასწაულობდა მთელი რუსეთი. მოლაპარაკე მოაგონებს, რომ მანიფესტანტები მიეგებნენ გამარჯვებულ ხალხის წარმომადგენლებს; მთავრობამ კი ხალხის ამ აღტაცებას პოლიციის მათრახებით უპასუხა. ვის და რას ემუქრებოდა მშვიდობიანი მანიფესტაცია? მონაწილეთა სიტყვით პოლიციამ მანიფესტაცია დაშალა მათრახებით და მუშტებით, ცხენები ზედ ხალხს მიაგდო. ნაციონალისტები პოლიციის მოხელეთ არა სდებენ ბრალს, რადგანაც მათ აასრულეს ის, რაც ნაბრძანები ჰქონდათ; მხოლოდ მიჰმართავენ შინაგან საქმეთა მინისტრს შეკითხვით. ბრალი ერთ მინისტრს არ მიუძღვის, დამნაშავეა მთლად გაერთიანებული მთავრობა. მთავრობის პოლიტიკა მაშინ არის ძლიერი, როდესაც იგი ეთანხმება ხალხის იდეალებს. დიდი ხანია, რაც აღმოცენდა უფსკრული მთავრობასა და საზოგადოების შორის, მაგრამ იგი ისეთი ღრმა არა ყოფილა, როგორც ეხლა. შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ რუსეთი დიდი სახელმწიფო აღარ არის (ცენტრში პროტესტი). მთავრობამ იმაზე მეტი ვერ მოახერხა, რომ ავსტრიის ძლევამოსილ ეტლის თვალის უკან გამოჰბმოდაო.

შინაგან საქმეთა მინისტრი სათათბიროს წევრნო! ნება მიბოძეთ, იმაზე, რაც აქ მოვისმინე, წარმოგიდგინოთ ფრიად მოკლე, მაგრამ საჭირო განმარტება. ქუჩის მანიფესტაციები ბრბოს აგროვებენ, ქუჩებში უწესოებას ჰქმნიან. ეს კი, რასაკვირველია, შეუწყნარებელია. მათი აკრძალვა პოლიციის ზომებით აუცილებელია. ზომები, რასაკვირველია, თავაზიანი უნდა იყოს. რადგანაც პეტერბურგში 17 18 მარტში მომხდარ ამბებზე, ხმები გავრცელადა, დავავალე ჩემს ამხანაგს მოეხდინა ყოველმხრივი და სასტიკი გამოძიება. მთავრობას არ მოსწონს პოლიციის მიერ მიღებული უხეში ზომები. არა თუ არ თანაუგრძნობს ამას, არამედ ყოვლად შეუწყნარებლადა სთვლის (ტაში მარჯვნით, ხმები: ვაშა!). მით უმეტეს გაუგებრად მიაჩნია მას ამ შემთხვევაში მანიფესტანტები, როგორც სჩანს, მშვიდობიანად იყვნენ და თვით მიზეზმა, რამაც გამოიწვია მანიფესტაცია, დიდი თანაგრძნობა ჰპოვა. აი ამისთვის, სანამ გამოძიება არ არის დასრულებული, გიცხადებთ, რომ ამ ამბის გამოსაძიებლად მიღებული იქნება ენერგიული ზომები; დარწმუნებული ვარ, გამოძიება, რომელიც ეხლა სწარმოებს, გამოარკვევს ჭეშმარიტად და ნათლად სინამდვილეს. თუ ყოველივე ბრალდება პეტერბურგის პოლიციაზე, რაც ამ ტრიბუნიდან ითქვა, გამართლდა, დამნაშავენი სასტიკ პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი (ხანგრძლივი ტაში მარჯვნივ).

პურიშკევიჩი. მემარჯვენენი მოითხოვენ შეკითხვის სისწრაფეს, რადგანაც დარწმუნებულნი არა ვართ, რომ ამგვარ შემთხვევაში პოლიცია სხვანაირად მოიქცევა. მემარჯვენენი და ნაციონალისტები ახალგაზრდა მინისტრს არ უსაყვედურებენ; იგი, როგორც გაერთიანებულ მთავრობის წევრი, უნდა დაემორჩილოს იმ მიმართულებას, რომელსაც ჰქმნიან კაბინეთის სათავეში მდგომნი და გარეშე პოლიტიკის მწარმოებელნი. მანიფესტანტები სათათბიროს წევრებზე ძლიერ არ არიან დამნაშავენი. ლაპარაკიც მეტია, ვითომც ავსტრიის საელჩოზე აპირებდნენ თავდასხმასო: იყო მშვიდობიანი რუსთა ბრბო, რომელსაც ჰსურდა გამოეთქვა პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობა. ზნეობრივი მნიშვნელობა მანიფესტაციისა დიადია. მთავრობის საქციელი მანიფენსტანტების მიმართ შეცდომა არ არის, ეს სახელმწიფოებრივი დანაშაულობაა. საჭიროა გამოირკვეს მათი პიროვნება, ვინც მანიფესტანტებს სცემდა, რადგანაც პურიშკევიჩი დარწმუნებულია, რომ მათში პოლონელი ბევრი ერია. (ტაში მარჯვნივ).

ანტონოვი. შეკითხვა მიმართულია შინაგან საქმეთა მინისტრსა და პოლიციის უფროსისადმი. ოქტომბრისტები მაშინ დაკმაყოფილდებიან, როცა გამოძიება აღმოაჩენს დამნაშავეებს და ისინი ღირსეულად იქნებიან დასჯილნი. ამით შინაგან საქმეთა მინისტრი დაგვანახვებს, რომ მას ჰეშმარიტად ჰსურს ახალის გზით იაროს. (ტაში ცენტრში).

ხაუსტოვი. შეკითხვის სწრაფ განხილვას უჭერს მხარს და მოითხოვს თავისუფლებას არა მარტო მუშათა მტრებისთვის, არამედ მთელ რუსეთის პროლეტარიატისთვის.

იაკუშინსკი. შრომის ჯგუფი სწრაფს განხილვას იცავს, თუმცა პროტესტს აცხადებს შოვინისტურ დემონსტრაციების წინააღმდეგ, რომელიც ხალხის გრძნობათა გამომთქმელი კი არ არის, არამედ მცირე რიცხოვან ბრბოსი.

სწრაფი განხილვა სათათბირომ მიიღო. შეუდგა არსებითს განხილვას. თავმჯდომარის ალაგი დაიჭირა თავ. **ურუსოვმა**.

როდიჩევი შეკითხვის მიღებას მხარს უჭერს, მხოლოდ სხვა მიზეზებისა გამო, ვიდრე მისი ავტორნი. მხოლოდ კანონიერების განმტკიცებით შეიქმნება პოლიცია უფრო თავაზიანი და კანონიერი. საჭიროა სისტემის შეცვლა. მთავრობამ პირველმა უნდა მისცეს კანონის პატივისცემის მაგალითი. როდესაც პირველად დავინახავთ შინაგან საქმეთა მინისტრს, დასჯილს ზარალის გადა დით, რომელიც ხალხს მიაყენა თ ლი კერძო (ბრძანებით??) (წაშლ ლია). მხოლოდ მაშინ შეიძლება მო სვენებით დაიძინო, როცა იცით, რუსეთის ყველა ქალაქების ქუჩებში ყოველი მოქალაქის ხელშეუხებლობ უზრუნველ-ყოფილი იქნება არა მარტო შეუიარაღებულ ხულიგანებისაგან, არამედ მთავრობის შეიარაღებულ ძალისაგანაც. შემდეგ როდიჩევმა წარმოსთქვა ისეთი სიტყვები, რამაც ძლიერი ხმაურობა გამოიწვია ნაციონალისტებსა და მემარჯვენებში.

თავმჯდომარე როდიჩევს სიტყვას ართმევს. ძლიერი ხმაურობის დრო როდიჩევი ტრიბუნიდან ჩამოდის.

თავმჯდომარე თხოულობს ს ნოგრამას. დარბაზი თანდათან მშ დება. სტენოგრამის წაკითხვის შ დეგ, თავმჯდომარე წინადადებას იძლევა დაითხოვონ როდიჩევი 5 სხდომიდან. ძლიერი ხმაურობაა. მარჯვნით ყვირილი: „თხუთმეტ სხდომიდან“

როდიჩევი 5 სხდომიდან დაითხოვეს.

თავმჯდომარეობს **როძიანკო.** წინადადება შეიტანეს ლაპარაკის მსურველთა ჩაწერა შესწყვიტონ. ხმები ადგილიდან: „როდიჩევი?“

კრუპენსკი წინადადებას აძლ სხდომა გაგრძელდეს, ვიდრე როდ ჩევს 15 სხდომიდან არ დაითხოვე (მარცხნით ხმაურობა).

ხმაურობის დროს თავმჯდომარემ კრება დახურა.

შემდეგი კრება 22 მარტს.

ახალი ამბავი

ტფილის

✦ **მეფის მოადგილემ გრაფმა ი. ვორონცოვ-დაშკოვმა** 20 მარტს ღამე მშვიდად გაატარა და საკმარისად ეძინა. თვითგრძნობა უკეთესი აქვს. გუშინ დილით ტემპერატურა ჰქონდა—36,7. მაჯის ცემა—70. გულის ცემა—იშვიათი და სუნთქვა 26—32 წამში.

✦ **ტრამვაის** ვაგონების მოძრაობა გუშინ, დილის 10 საათსა და 40 წ. ნახევარ საათით შესწყდა ელექტრონის ძალის უქონლობის გამო.

✦ **ქალაქის სასალახოს რევიზიის გამო.** როგორც ვწერდით, ქალაქის გამგეობამ დამაკმაყოფილებლად იცნო პასუხი სასალახოს ალმაშენებელ კომისიისა იმ კითხვებზე, რომელიც სარევიზიო კომისიას მისცა სასალახოს რევიზორთა მოხსენების გამო. გამგეობისა და სასალახოს ალმშენებელ კომისიის თავ ჯდომარედ ქალაქის მოურავი ა. ხატისოვია. გუშინ სარევიზიო მისიამ ქალაქის მოურავს ოფი ლურად აცნობა: 20 მარტს განვ ლეთ გამგეობისა და კომისიის ახსნა განმარტებანი და სავსებით დაგვაკმაყოფილაო.

მგზავრის შთაბეჭდილებანი

(შემდეგი *)

მარსელიდან პირდაპირ ნეაპოლს მივედით. დილა იყო. გემი სულ ხუთიოდე საათს რჩებოდა, გავეშურეთ მუზეუმისაკენ, მაგრამ სამწუხაროდ ჯერ კიდევ დაკეტილი იყო, ჩვენ კი დრო არ გვქონდა დაგვეცადა. კოხტა, სიცოცხლით სავსე ქალაქია, მშვენიერი ქუჩები, მაგრამ ალაგ-ალაგ ნამდვილი აზიური სიბინძურე. ასე, რომ უნებლიედ იტყვით, აქ ორი კულტურა ერთმანეთს შეხვედრიაო. თან ისეთ მოვლენასაც შეამჩნევთ, რაც აზიის დამახასიათებელია, ესაა უსაქმურობა. ევროპას სწორედ ახასიათებს საერთო მუშაობა, აქ უსაქმო კაცი სანთლით საძებნელია, გზაზე გამუდმებული სირბილია, ყველას ეჩქარება, ყველა საქმისკენ ესწრაფვის, ევროპიელისათვის დრო ფულია. ნეაპოლი თითქოს ამ მხრით სულ ევროპიელი ქალაქი არ არის. აგერ ქუჩაში სალი ვაჟკაცი ზანტად მიერეკება თხებს, ხელში ჰიქა უჭირავს და მსურველს იქვე ჩამოუწველს თხას და რძეს აწოდებს. იქ ყმაწვილს ორი თავი თვის ბოლოკი ხელში დაუჭერია და მყიდველს ელოდება. ქუჩაზე აქა-იქ უსაქმურთა გროვაცაა ბლომად.

ნეაპოლიდან პირდაპირ საბერძნეთში ამოვყავით თავი. ნავთსადგური პირეა მთელი ქალაქია. დილით ადრე გავწიეთ ათინასკენ. არ შეგვიძლიანთ აღტაცებით და გაოცებით არ შეჩერდეთ იმ ნაშთთა წინაშე, რომლებშიაც ძველ ბერძენთა სული უკვდავ იქმნა. მაგრამ მე უფრო მაინტერესებს თვით ხალხი, დღევანდელი საბერძნეთი. ხუმბრობაა, ხალხი საუკუნოების განმავლობაში უცხო ბატონობის ქვეშ იყო, ხოცვა-ჟლეტა, აკლება, აწიოკება ბუნებრივი მისი ხვედრი იყო. ხუთას წელიწადს დაუღალავად იბრძოდა ბერძენთა ერი თავის პიროვნების დასაცველად და, აი, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, ბევრ უნაყოფო აჯანყებათა შემდეგ, მოიპოვა თავისუფლება. ათინა ნამდვილი ევროპიული ქალაქია. სუფთა ქუჩები, ლამაზი შენობები, გაჩაღებული ვაჭრობა, მრავალი გაზეთი, შეუჩერებელი მოძრაობა მოწმობენ, რომ აქ ცხოვრობს ახალი კულტურის შვილი, უკვე ძლიერი თავისი შემოქმედებით და ეკონომიური საქმიანობით. როცა ერთს ფრანგს გავუზიარე ჩემი აზრი, ის დამეთანხმა, მართალია, ბერძნები მეტად ყოჩაღი ვაჭრები და საქმის კაცები არიანო და ზედ დასძინა, ჩვენ ანდაზა გვაქვს: გადაადუღეთ ორი ებრაელი—ერთს სომეხს მიიღებთ, ხოლო ოთხ ებრაელს თუ გადაადუღებთ, ერთს ბერძენსო. ამიტომაცაა, რომ სალონიკის 80.000 ებრაელობა, თავისი ბანკებით და სამრეწველო სავაჭრო დაწესებულებებით სულ ცახცახებს იმის შიშში, რომ სალონიკი ბერძნებს დარჩებათ. მათ კარგად ესმით, თუ რა სასტაკი ბრძოლა ატყდება მათსა და ბერძნებს შორის. და რადგან ბერძნების მხარეს იქნება მთავრობის უხვი მფარველობა, მთელი სახელმწიფოებრივი სისტემა, აშკარაა, ებრაელები უნდა დამარცხდნენ და კიდევ ერთხელ შეუდგნენ ახალ სამშობლოს ძებნას. ბერძნები დასაბამიდანვე ფინიკიელთა მემკვიდრენი იყვნენ და ვაჭრობა-მრეწველობაში ხმელთა შუა ზღვაზე მათი ბადალი არავინ გამოჩენილა. მას შემდეგაც, რაც ბიზანტია დაეცა და მის ნაპარტახევზე დამკვიდრდა ოსმალეთი, ბერძნების ვაჭრობა წინ მიდიოდა. ჯერ ერთი, ბერძნებს ეჭირათ ყველა კუნძულები და ჰქონდათ ძლიერი სავაჭრო ფლოტი. ოსმალებს კი ზღვა ეჯავრებოდათ და მხოლოდ ხანგამოშვებით ესტუმრებოდნენ ბერძენთ კუნძულებზე, ისიც მხოლოდ ხარჯის ასაღებად. მეორე, ოსმალები ტიპიური მეომარი კასტის წარმომადგენელნი იყვნენ და ვაჭრობა, საზოგადოდ პრაქტიკული საქმიანობა ძალიან ეჯავრებოდათ. როცა ლუი მე-XIV-ის ელჩი გადასცემს სულთან მაჰმად IV საფრანგეთის მეფის თხოვნას—ფრანგ ვაჭრებს მფარველობა გაუწიე და შეღავათები მიეციო, მაჰმად მე-IV გაოცებული შესძახებს: ნუ თუ თქვენი მეფე ისე დაწვრილმანდა, რომ ვაჭრობაზე ფიქრობსო. განა ეს მეფის საკადრისი არისო?.. ამით სულთანმა აშკარად გამოხატა ოსმალოს სულიერი შინაარსი სიძულვილი ვაჭრობისა და საზოგადოდ შრომისადმი. ასეთი გარემოება მეტად ხელსაყრელი იყო ბერძენთათვის, რომელთაც საკმაოდ ისარგებლეს გაბატონებულთა უსაქმურობით, ააყვავეს ვაჭრობა-მრეწველობა, თან და თან ძალა მოიკრიბეს, რამაც მოუმზადა ნიადაგი მათ პოლიტიკურ განთავისუფლებას. რომ გაითვალისწინოთ მთელი ისტორია ბერძენთა ბრძოლისა თავისუფლებისათვის, თქვენ შენიშნავთ, რომ უმთავრესი ძალა, უმთავრესი ცენტრები სწორედ ამ სანახევროდ თავისუფალ და შეძლებულ კუნძულებზე იყო. დღეს საბერძნეთი უსათუოდ ერთი ევროპიული ქვეყანათაგანია. ოთხმოცი წლის თავისუფლება საკმარისი იყო, რომ საბერძნეთი ამდგარიყო, გაწმენდილიყო; სახალხო განათლება, სახალხო მეურნეობა, საერთო კეთილდღეობა საოცრად ამაღლდა. გუშინდელი პოლიტიკური მონა ბუნების მონაც იყო, სიღარიბეში და უბედურებაში სულს ლევდა. თავისუფლებასთან ერთად მისი კეთილდღეობა დღითი-დღე იზრდება. თავისუფალი ერი ფრთას შლის შემოქმედების გზაზე. მაგრამ თუ ცოტა უკან მივიხედავთ, დავრწმუნდებით, რომ როგორც რომი ერთი მხრით გახდა მსხვერპლი ჩრდილოეთიდან შემოსეულ ბარბაროსთა, ისე ბიზანტია-აზიის მოხეტიალე ხალხის სელჯიუკებისა, ორივე ამ დიდი ცივილიზაციის დამხობა უნდა ვეძიოთ მათ შინაგან გახრწნაში და შინაგან დაცემაში. ზოგიერთ ისტორიკოსის აზრით კონსტანტინეპოლი თურქებმა აიღეს სულ ექვსი ათასი კაცით. ყოველ შემთხვევაში უეჭველია, რომ მაშინ ოსმალთა რაოდენობა მეტად მცირედი იყო და მასთან ეს მოხეტიალე ხალხი მოკლებული იყო სულ მცირედ კულტურასაც კი. აქ გარეგანმა ძალამ ასე ადვილად იმიტომ გაიმარჯვა ბიზანტიაზე, რომ ის უკვე შიგნით გამოფუტურებული, ზნეობრივად გათახსირებული და დაშლილი იყო. ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორი კონსტანტინე პალეოლოგი, გრძნობდა რა განკერძებულად თავის სისუსტეს, ცდილობდა დასავლეთის და აღმოსავლეთის ქრისტიანობა შეერიგებინა, რომ ამით დასავლეთის ძმებისაგან დახმარება მიეღო. ბერძნების სამღვდელოებამ კარგად იცოდა ასეთი მისი მიდრეკილება, და, თუმცა ოსმალონი უკვე კონსტანტინეპოლის კარზე იყვნენ მიმდგარი, მიუხედავად ამისა ერის წინამძღოლს საწინააღმდეგო დემონსტრაციები გაუმართეს და საჯაროდ გმობდნენ მას. მასთან აცხადებდნენ: ჩვენ ვამჯობინებთ ოსმალთა ბატონობას, ვიდრე პაპთან შერიგებასაო. ქვეყანა მექრთამეთა და გახრწნილთა ხელში იყო. შეერთებისა და ძალთა თავმოყრის მაგიერ საზოგადო ქონების ტაციაობა, ურთიერთი შუღლი და კინკლაობა ბატონობდა. ისტორიკოსები მოგვითხრობენ, გმირი და სამშობლოსათვის თავდადებული კონსტანტინე, რამდენიმე დღის წინედ თავის ტრაგიკულ სიკვდილისა, ადარებდა სპარტელებს მის თანამედროვე ბერძნებს და ამბობდა: მხოლოდ სულიერი სიმტკიცე და ზნეობრივი სიმაღლე უზრუნველჰყოფს ხალხის ხანგრძლივობასო. ხოლო მიიხედ-მოიხედა ირგვლივ, შეხედა ბიზანტია გათახსირებულს, დარღვეულს, მინ გრეულ-მონგრეულს და წამოიძახ „ხანგრძლივი განცდაა საჭირო ჩვენ თვის. ჩვენი ერი, დიდი ხნით ბედნი ერი, დღეს აღარაა ღირსი ამ ბედნ ერებისა. საჭიროა ახალი ძალი მოვიკრიბოთ, საჭიროა გაიწმინდო ჩვენი სული ცრემლთა დენის სი წარეში, გაკაჟდეს ჩვენი გული ცდის მოლოდინში, როცა აღო ნებული თავისუფლება გააკეთ შობილებს ჩვენს შთამომავ შუბლს. ვაჰ, რომ შორსაა ეს დღ რამდენი ტანჯვა, რამდენი დამცირ ბა უნდა გამოვცადოთ ამ განთიად მოლოდინში. რამდენი ბერძენი დ ხუჭავს სასიკვდილოდ თვალე ღრუბლებით მოცულ ტატნობზ ამ კეთილ დღის განთიადის ძებნა მაგრამ ეს დღე მოვა, მეც ეს ვი ის დღე მაშინ მოვა, როცა ცდა კმარისი იქნება გამოღვიძებისა, გ ნახლებისა და განთავისუფლებისათვისო“. მართლაც დიდი ხანი იტანჯა ბერძენთა ერი და დღეს, ამდენ ხნის ტანჯვის შემდეგ, ის გაკაჟე ლი, მძლავრი და აღტაცებული, მოდის საკაცობრიო ასპარეზზე. დადებულ გმირთა სისხლმა მოუ და მას ეს ბრწყინვალე დღე. ამ გმი თა შორის თვით კონსტანტინე ლეოლოგიც ერია. უკანასკნე დღეს კონსტანტინეპოლის არსებ

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 851

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბირჟო ცნობები. 21 მარტს შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 75 კ., აძლევენ—85 მან. 5 კ.; ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—83 მან. 25 კ. აძლევენ—82 მან. 80 კ. და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—78 მან. 75 კაპ. აძლევენ—77 მან. 75 კ.

სასოფლო მეურნეობის მთავარ ინსპექტორად მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა აგრონომი ს. ნ. ტიმოფეევი დანიშნა.

გუშინ ქალაქის გამგეობამ პარიზის ბანკს გაუგზავნა 101,457 მან. 58 კ. შარშან აღებულ მეოთხე საობლიგაციო სესხის ანგარიშში.

ნაფიც ვექილთა საბჭო. 24 მარტს, ქალაქის საბჭოს დარბაზში, ნაფიც ვექილთა ერთ ჯგუფს კრება ექნება. განიხილავს საკითხს ტფილისში ნაფიც ვექილთა საბჭოს დაარსების შესახებ.

საზოგადოებანი და კრებები

საყინულეთა მოწყობის საქმის მოღვაწეთა მეშვიდე კრების მომწვევ კომიტეტს ხვალ კრება ექნება მომავალ კრებისთვის მასალების დასამზადებლად. კომიტეტში შედიან: სამეურნეო, სამკურნალო, სა[illegible]ითალო, სატეხნიკო და სხვა საზოგადოებათა და დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

„კაპეიკის სავშირის“ საზოგადოების წლიური კრება დღეს, საღამოს 6 საათზე, მოხდება სამკურნალო საზოგადოების შენობაში.

სასწავლებლებში

სამასწავლებლო ინსტიტუტი. ავკასიის სამოსწავლო ოლქის ზრუნველს განზრახვა აქვს, წელს ქუთაისის გუბერნიაში ერთი სამასწავლებლო ინსტიტუტი გახსნას. ამის გამო ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა ფოთის ქალაქის საბჭოს დეპუტაცია (ექიმი დ. ლამბაროვი, გ. საბახტარაშვილი და კ. რუხაძე), რომელიც იშუამდგომლებს მზრუნველის წინაშე, რათა ინსტიტუტი ფოთში გახსნას. ამ საქმისთვის ფოთი უფასოდ უთმობს მშვენიერ ორ-სართულიან სახლს 5 დესეტინიან ბაღით. ქვედა სართულში ამ ჟამად მოთავსებული ყოფილა სამოქალაქო სასწავლებელი, ხოლო ზემო სართული სრულიად საკმარისია ინსტიტუტისთვის. სახლი აგებული ყოფილა გატჩინოს რეალურ სასწავლებლის შენობის სამაგალითო გეგმის მიხედვით.

ქ უ თ ა ი ს ი

ქუთაისის წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობა ამ მოკლე დროში აღავს შუამდგომლობას, სადაც ჯერ ს, რომ ნება დართონ გაიხსნას მკითხველო შემდეგ სოფლებში: ქვემო მაღლაკში, ერკეთში და აცანაში.

ქიათურიდან შავი ქვა გაუზიდიათ: 10 მარტს—312 ვაგონი, 11 მარტს—281 ვაგ., 12—338 ვაგ., 13—300 ვაგ., 14—360 ვ., 15—366 ვ., 16—380 ვ. სულ 16 მარტამდე გაუზიდიათ: 2337 ვაგონი შავი ქვა; თითო ვაგონში ერთი-მეორეზე ყოფილა 700 ფუთამდე შავი ქვა.

ქალაქის საგუბერნიო საქმეთა საკრებულომ, თანახმად ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებისა, უნდა გაარჩიოს ოზურგეთის ყოფილ ქალაქის თავის ვასილ ხუნდაძის საქმე. მას ჰბრალდება სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენა.

18 მარტს, თავის მოკვლის განზრახვით, თეთრი ხიდიდან რიონში გადავარდა მეორე საქალაქო სკოლის მე-6-ე კლასის მოწაფე ილარიონ იაკობის ძე ჟადანი. მას თან მისდევდა ამხანაგი რაშჩენკოვი, რომელიც მომხდარი ამბით შეშინებული გაქცეულა.

დ ე პ ე შ ა

ბაქო.

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, 21 მარტისთვის დანიშნული იყო უჩა დადიანის ცნობილი საქმე. რადგანაც ზოგიერთი მოწმე არ გამოცხადდა, საქმე გადაიდო.

არჩილ ჯორჯაძის ავადმყოფობა

ბათომიდან მოსულ უკანასკნელ ცნობებით, არჩილ ჯორჯაძე ცუდად გამხდარა.

ავადმყოფი კვლავ იღებს მრავალ წერილებსა და დეპეშებს. მოგვყავს ზოგიერთი მათგანი:

„ძვირფასო ძმაო არჩილ!

გაზეთებიდან ამოკითხულმა ამბავმა შენი ავადმყოფობის შესახებ ძალიან შემაწუხა და დამანაღვლიანა. გრძნობა-გონებით შენთანა ვარ, მაგრამ სიტყვებს კი ვერა ვპოულობ, რომ გამოგელაპარაკო...

გამხნევდი, მოიკრიბე ძალა! მთელი ცნობიერი საქართველოს გულისყური დღეს შენსკენ არის, მთელი ცნობიერი ქართველობა გულითა ნატრობს შენს განკურნებას და შენი სიცოცხლის ხანგრძლივობას.

ძვირფასო არჩილ! კარგად იყავი, ჯერ კიდევ დიდხანს უნდა იცოცხლო, ამას ითხოვს შენი საყვარელი საქმე. კარგად იყავი!

მიიღე წრფელი, მხურვალე, მეგობრული სალამი.

შენი ლადო დარჩიაშვილი.

ჩვენო სასიქადულო და ღრმად პატივცემულო არჩილ!

გაზეთებმა გადმოგვცეს მეტის-მეტად არა სასიამოვნო ამბავი თქვენი **ავადმყოფობისა**... ამ არა სასიამოვნო ამბავმა უზომოდ დაგვაღონა ყველა ისინი, რომლებსაც გულთან ახლო გვწვდება ყოველივე თქვენი ნააზრევი და ნაგრძნობი, ვინაიდან დროებით, განკურნებამდე, მოკლებულნი ვიქმნებით ჩვენი ნათელი გზის მაჩვენებლისა...... და საყვარელ მწერალ-პუბლიცისტის კეთილ ნაშრომს...

მოვაგონებთ
ხელის-მომწერლებს,
რომ ვინც **პირველ აპრილისთვის** ხვედრ ფულს (2 მან.)
არ შემოიტანს, გაზეთის გზავნა
მ ო ე ს პ ო ბ ა.

გურიის თანამოაზე ახალგაზდობის ერთ ჯგუფთან ერთად გიძღვნით სალამს მხურვალე თანაგრძნობით და გისურვებთ ადრე განკურნებას, რომ ისევ მალე შეუდგეთ თქვენს საყვარელ საქმეს,—ჩვენი ქვეყნის და კაცობრიობის საკეთილდღეოდ...

აკაკი ტუხაია.

გარდა წერილებისა, არჩილ ჯორჯაძემ მიიღო შემდეგი დეპეშები: **ფოთიდან:** ფოთის საქალაქო აფთიაქის მოსამსახურე ფარმაცევტები უსურვებენ მალე განკურნებას ძვირფას მასწავლებელსა და ხელმძღვანელს არჩილს. **ქუთაისიდან:** ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურენი გულითა და სულით უსურვებენ განკურნებას ყველასათვის ძვირფას არჩილს, დაუღალავსა და სამშობლო ქვეყნის ერთგულ მუშაკს.

სამეცნიერო დაწესებულება

მკითხველებს, უეჭველია, ეცოდინებათ, რომ ტფილისის ქალთა უმაღლეს კურსებთან დაარსდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელსაც ფრიად საპატიო მიზანი დაუსახავს. მაგრამ სამეცნიერო დაწესებულებისთვის მარტო კარგი მიზანი არა კმარა, საჭიროა სათანადო პირობებიც, რომ შრომამ სასურველი ნაყოფი გამოიღოს. ტფილისში არსებობს ორი ეროვნული სამეცნიერო დაწესებულება—სომხური და ქართული საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებანი. ქართულმა საისტორიო საზოგადოებამ, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანი არ არის რაც არსებობს, უკვე საკმაო რიცხვი მუშაკთა მიიზიდა და დარბაისლური საქმიანობით სამეცნიერო კვალი დასტოვა. სრული საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს საზოგადოება, რომელმაც ქართველი საზოგადოების სიმპატია კიდეც დაიმსახურა, თავის მოქმედებას გააფართოვებს და სრულს საშუალებას მისცემს ჩვენი წარსულის გულ-წრფელ მკვლევართ თავიანთი მეცნიერული მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს.

იმათთვის, ვისაც ქართულსა და სომხურ საეთნოგრაფიო საზოგადოებებში ვერ შეუძლიანთ მუშაობა, ფართო ასპარეზს უშლის მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების განყოფილება. ამ რიგად, დარბაისლურ სამეცნიერო მოღვაწეობისთვის საკმაოდ ფართო ასპარეზია გაშლილი. ისტორიის მკვლევარი ტფილისში ეულად არასოდეს არ იგრძნობს თავსა. მას დახვდება როგორც სამეცნიერო დაწესებულებანი, ისე მასალა.

მიუხედავად ამისა, რამდენიმე პირს, რომელნიც, ალბად, აწ არსებულ სამეცნიერო დაწესებულებათა ჩარჩოებში ვერ ეტევიან, განუზრახავთ ახალი სამეცნიერო დაწესებულების შექმნა ტფილისის ქალთა უმაღლეს კურსებთან. კარგი განზრახვაა. ჩვენ დიდის სიამოვნებით მივეგებებოდით თუნდაც ათი სამეცნიერო დაწესებულების შექმნას, რეალური საჭიროება რომ მართლა მოითხოვდეს ამას. ისტორიკოსები და არქეოლოგები, რომელნიც მეცნიერულ შრომას ეწევიან, უკვე ჩაბმულნი არიან ზემოდ დასახელებულ საზოგადოებებში. მათი მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთს რომელსამე სამეცნიერო დაწესებულებასთან. ამიტომ, ძალიან საეჭვოდ უნდა ჩაითვალოს, რომ ახალმა საზოგადოებამ შესძლოს და სერიოზული მკვლევარნი ჩვენი ისტორიისა თავისკენ გადაიბიროს. ახალი საზოგადოების რამდენიმე დებიუტმა, მართლაც, დაგვიმტკიცა, რომ ეს ახალი სამეცნიერო დაწესებულება ოჩოლფეხებზეა აშენებული და საზრდოობს არა იმით, რომ მის დამაარსებელთა სამეცნიერო წყურვილი არსებული საზოგადოებებით ვერა კმაყოფილდება, არამედ სხვა მოტივებით, რომელთაც მეცნიერებასთან ძალიან ცოტა კავშირი აქვს.

ერთმა დებიუტანტმა, ბ-ნმა სპილიოტიმ, თავისი ტენდენციური წერილით უკვე დაგვიმტკიცა, რომ იგი არამც თუ სერიოზული მკვლევარი და მეცნიერი არ არის, თვით მიზანი მეცნიერებისა ძალიან ნაკლებადა აქვს შეთვისებული. ადამიანმა, რომელსაც შეუძლიან ასეთის საშუალებით, კალმის ერთი მოსმით, მასალების შეუსწავლელად, დაასკვნას, მეთვრამეტე საუკუნეში პირველყოფილი წყვდიადი იყოვო და ეს თავისი მტკიცება მხოლოდ ციციანოვის ოფიციალურ მოხსენებებზე დაამყაროს,—დამეთანხმეთ, ამ ადამიანმა შეუძლებელია საფუძველი ჩაუყაროს სამეცნიერო დაწესებულებას. მეორე დებიუტანტის, ბ-ნ კაკაბაძის, ისტორია ხომ ჩვენს მკითხველს კარგად მოეხსენება. ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

მიუხედავად ახლად მოვლენილ მეცნიერთა მარცხისა, ახალი საზოგადოების მესვეურნი, როგორც ეტყობა, კარგადა ჰგრძნობენ თავსა და ცოტა არ იყოს მედიდურად უცქერიან ქართულსა და სომხურ საეთნოგრაფიო საზოგადოებებს. ალბად დარწმუნებული არიან, რომ დაწესებულება ჰქმნის ამა თუ იმ მოღვაწეთ და არა მოღვაწენი ჰქმნიან დაწესებულებას მეცნიერულად. საკმარისი არ არის ესა თუ ის დაწესებულება „უმაღლეს“ კურსებთან შეჰქმნათ და „მეცნიერული“ უწოდოთ, რომ დაწესებულებაც მაშინვე მეცნიერულად იქცეს. ამისათვის საჭიროა სათანადო სამეცნიერო მომზადება და განსაკუთრებით კი ის გულწრფელი სიყვარული საქმისა, რომელსაც ხელსა ჰკიდებს ადამიანი. ისეთი ადამიანები კი, რომელნიც ქარაფშუტულად ეკიდებიან თავიანთ საქმეს და დაკვირვებით არ ეცნობიან იმ ქვეყნის ისტორიას, სადაც მეცნიერულ მოღვაწეობას აპირებენ, ვერასოდეს სასარგებლოს ვერას შეჰქმნიან და მხოლოდ საზოგადოების სამასხაროდ გაჰხდებიან.

არ. ჯ.—შვილი.

ქართული საღამო ჟენევაში

არაჩვეულებრივი იყო წელს ქართული საღამო ჟენევაში. არაჩვეულებრივი იყო, როგორც შინაარსის მხრით, ისე გარეგნულადაც. საღამო შესდგებოდა სამი განყოფილებიდან. პირველ განყოფილებაში კონცერტი იყო. ამ განყოფილებაში ყურადღებას იქცევდა ადგილობრივ კონსერვატორიის სიმღერის მასწავლებელი ბ-ნი კუნცი. მან იმღერა ქართული რომანსი „სულო“ (ფალიაშვილისა) ქართულად. პატივცემულ მომღერალს პირნათლად შეესრულებინა დაპირება და ზედმიწევნით შეეთვისებინა როგორც უცხო კილო რომანსისა, ისე ქართული სიტყვებიც. გარკვეულად ამბობდა ბ. კუნცი თითოეულ სიტყვას შესაფერის ინტონაციის დაცვითა და უნაკლო გამოთქმით. დამსწრე ფრანგის საზოგადოება აღტაცებით მიეგება მომღერალს და ტაშით დააჯილდოვა იგი... საკონცერტო განყოფილებაში კარგი იყო აგრეთვე მომღერალი ქალი ქ-ნი პულენვიზარი (ესეც მასწავლებელია სიმღერისა კონსერვატორიაში). მან შეასრულა რამდენიმე ფრანგული რომანსი... ეს ნაწილი დამთავრდა ქართული ხოროთი...

მოუთმენლად მოელოდა საზოგადოება მეორე განყოფილებას. ეს შესდგებოდა ცოცხალ სურათებიდან. სუმბათაშვილის ცნობილი პიესა „ღალატი“ თითქმის მთლად იყო წარმოდგენილი სურათებში. ქართული ეროვნული ტანსაცმელი, სცენების შესაფერის მორთულობით, წარმტაცი რამ იყო, აქაურებისათვის უნახავი და საარაკო. სურათები დადგა ბ-ნმა გიორგი კერესელიძემ. მან ჭეშმარიტად გაგვაკვირვა თავის ხელოვნებით. ისეთნაირად გამოეყენებინა ცოცხალი მასალები სურათებისთვის, რომ თითოეული მონაწილე თავის ადგილას იყო და ზედმიწევნით ჰხატავდა შესაფერ იდეას ხსენებულ პიესის ადგილიდან. დიდს აღტაცებაში მოჰყავდა დამსწრენი თითოეულ სურათს. დაჟინებით მოითხოვდნენ განმეორებას, ხოლო ტაშის კვრას დასასრული არა ჰქონდა. ჟენევის საზოგადოებისათვის ასეთი მხატვრული სურათები არაჩვეულებრივი რამ იყო. ფრანგებს განსაკუთრებით ჰხიბლავდა ტანჩაცმულობა, ტანადობა და სილამაზე სურათში მონაწილეობის მიმღებთა.. აქ კიდეც ერთმა დამსწრე ფრანგთაგანმა დიდის ქებით აღწერა ეს საღამო ადგილობრივ გაზეთში და მის დამდგმელთ უწოდა ღირსეული წარმომადგენელნი ქვეყანაზე „უუმშვენიერესის რასისა“! სურათების შემდეგ სცენაზე გამოჩნდა მთელი კრებული ქალთა და ვაჟთა ეროვნულ ტანსაცმელით და ბ-ნმა ნ. მაღალაშვილმა ჩვეულებრივის შნოთი ჩამოუარა ლეკური. მოხდენილის ნარნარითა და შნოთი გაჰყვა მას ქ-ნი თამარი კერესელიძისა. ამათ შემდეგ ვაჟაცურის სიცქვიტითა და თავისუფალის მიმოხრევით დაიწყო ლეკური კერესელიძეთა 8 წლის ვაჟმა, რომელიც ქულაჯაში გამოეწყოთ. მან გამოიწვია საცეკვავად თავისი ტოლი ფრანგის გოგო, ქართულად გამოწყობილი, რომლისათვის შეესწავლებინათ ცეკვა... ტაშსა და ოვაციას საზღვარი არ ჰქონდა... ბავშვების შემდეგ იცეკვეს ქ-ნმა ოლღა კერესელიძისამ და ქ-ნმა მარიამ თორაძისამ. მათმა შეწყობილმა და უნაკლო თამაშმა ღირსეულად დაამთავრა ეს საინტერესო და ყოველმხრით ღირსაყურადღებო განყოფილება, რომელსაც შემდეგ მოჰყვა ევროპიული ბალი.

საუბედუროდ საღამომ ზარალი მოიტანა. ჟენევის ღარიბ ქართველობას დაედება ვალი 300 ფრანკამდე. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ შემოსავლის უმთავრესი წყარო საღამოებია. დეფიციტის მიზეზად სთვლიან იმას, რომ ბილეთების ფასი მეტად აწეული იყო. 10—15 ფრანკი იყო დანიშნული, რამაც დააშინა საზოგადოება. ისიცაა სახეში მისაღები, რომ საღამო გამართეს დიდ მარხვის უკანასკნელ კვირას—(ოთხშაბათს). მიუხედავად ფულის წაგებისა, სათვისტომო გულს არ იტეხს, რადგანაც ამიერიდან ქართულ საღამოებს სახელი ექნება ადგილობრივ საზოგადოებაში... გაზეთებმაც დიდად აღფრთოვანებული რეცენზიებით შეუწყეს ხელი.

მათე შქელიანი.

სასამართლო

ტრამვაის დირექციისა და ქალაქის გამგეობის დავა.

გუშინ ტფ. ოლქის სასამართლოს I სამოქალაქო განყოფილებაში გაირჩა საქმე ქალაქის გამგეობისა, რომელსაც ბელგიის უსახელო საზოგადოების ტფილისის ტრამვაის დირექცია 53,000 მანეთს უჩიოდა. ეს საჩივარი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ქალაქის გამგეობამ თავის დროზე ვაგონების საკმაო რიცხვის გამოუყვანლობისათვის დირექცია 50,000 მანეთით დააჯარიმა, და ეს ჯარიმა კიდეც გაიტანა საწინდარი ფულიდან დირექცია ამ ჯარიმას უკანონოდ სცნობდა.

უსახელო საზოგადოების მხრივ საჩივარს მხარს უჭერდა ნაფიცი ვექ. **სეგალი.** მან აღნიშნა, რომ თავიდანვე უსახელო საზოგადოება ქალაქის გამგეობამ ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა ყოველ-დღე აჯარიმებდა; მაშინ როდესაც მცხოვრებლების მოთხოვნილებისათვის საჭირო არ იყო ვაგონების იმდენი რიცხვი. თითო ვაგონზე საათში ქალაქის გამგეობა ორ მანათს ჯარიმას აწერდა და ამ რიგად მთელი ჯარიმა ერთ მეოთხედ მილიონს აღემატებაო. გარდა ამისა ქალაქის გამგეობას ყურადღება არ მიუქცევია იმ ვაგონებზე, რომელსაც მოტორიან ვაგონებს აბამენ, ეს კი ფრიად საყურადღებოა, რადგან ხელშეკრულობაში არ არის გარკვეული, თუ რა ტიპის ვაგონები უნდა ჰქონდეს საზოგადოებას.

ქალაქის მხრივ გამოვიდნენ ნაფ. ვექ. თან. **იუზბაშევი** და ქალაქის იურისკონსულტი **ათაბეგოვი,** რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ სწორედ ხელშეკრულობის ძალით აჯარიმებდა გამგეობა დირექციას, რადგან უკანასკნელმა პირობა დაარღვია და მუდამ ოცი ვაგონით ნაკლებ რიცხვს ამუშავებდაო. ჯარიმა კი დიდი არ არის, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ თითო ვაგონს საათში 7 მანეთზე მეტი შემოსავალი აქვსო.

განაჩენის გამოცხადება სასამართლომ 29 მარტისათვის გადასდო.

მოწყენილი ამბები

სოფ. მეჯვრისხევი. 27 იანვარს მოხდა მეჯვრისხევის საკრედიტო ამხანაგობის წლიური საზოგადო კრება წლიურ ანგარიშების განსახილველად და დასამტკიცებლად.

კრებაზე 261 წევრიდან გამოცხადდა მხოლოდ 82. კრებას მოეხსენდა 1912 წლის ანგარიში. საანგარიშო წლის დასაწყისში ამხანაგობას ჰყავდა 150 წევრი 11145 მ. პირადი ნდობით, ახლად მიღებულ იქნა 115 წევრი 5000 მ. [illegible] ნდობით. 1 წევრს კრედიტი გაუდიდეს 25 მ., 2 წევრი გარდაიცვალა. 1 წევრი თავის ნებით გავიდა და 1 წევრიც სხვა და სხვა მიზეზებისაგამო გამორიცხულ იქმნა. ამ რიგად საანგარიშო წლის ბოლოს დარჩა 261 წევრი 16035 მ. პირადის ნდობით. ამხანაგობას აქვს გახსნილი 1500 მ. გძელვადიანი კრედიტი სახელმწიფო ბანკში—5000 მ. მოკლე ვადიანი კრედიტი, სულ 6500 მ. საანგარიშო წლის დასაწყისში ამხანაგობას ჰქონდა კერძო პირებისაგან შესანახად შემოტანილი 61 მ. 71 კ. თავის 6% სარგებლიანად; ამავე დროს შემოუტანიათ შესანახად 507 მ. 55 კ. საანგარიშო წლის განმავლობაში გაუტანიათ 449 მ. დარჩა წლის ბოლოს კერძო პირთა 120 მ. 26 კ. შესანახად თავის 6%—6 მ. 55 კ. სულ 126 მ. 81 კ. საანგარიშო წლის დამდეგს წევრებზე გაცემული ყოფილა 3050 მ. საანგარიშო წლის განმავლობაში წევრებზე გაცემულა 7135 მ. ამავე დროს შემოუტანიათ 4388 მ. 1 იანვრისთვის 1913 წ. წევრებზე გაცემული ყოფილა 5797 მ. ამხანაგობას საანგარიშო წლის დამდეგს ჰქონია ხაზინაში 80 მან. საანგარიშო წლის განმავლობაში შეუტანია კიდევ 120 მ.; სულ 200 მან. წლის დამდეგს ამხანაგობას ჰქონია 21 მან. 46 კ. ქონება, წლის განმავლობაში შეუძენია კიდევ 80 კ. ქონება, სულ ჰქონია საანგარიშო წლის ბოლოს 22 მ. 26 კ. ქონება.

ამავე 1912 წ. ამხანაგობას დარჩა მოგება 641 მან. 38 კ. აქედან ბანკის სარგებელი, სახლის ქირა, მისი განათება—გათბობა და კანცელარიის წვრილმანი ხარჯი 360 მან. 42 კაპ. ამ რიგად წმინდა მოგება ამხანაგობას დარჩა 280 მან. 96 კ. კრებამ წლიური ანგარიში უცვლელად დაამტკიცა. შემდეგ კრებამ გაანაწილა 280 მან. 96 კ. მოგება ამრიგად: ძირითად თანხისთვის გადასდო 112 მან. 80 კ.. სათადარიგო თანხისთვის 56 მან. 50 კ. საშუამავლო ოპერაციისთვის 85 მან 66 კ. და 26 მან. გამგეობის წევრს გ. სარაულის ერთ დროულ ჯილდოსთვის. 1913 წ. ხარჯისთვის კრებამ გადასდო 160 მან. აქედან, ბინის დასაქირავებლად 80 მან. და 80 მანეთიც კანცელარიის წვრიმალი ხარჯისთვის. კრებამ დაადგინა, ნაცვლად წვრილი კრედიტის ამხანაგობისა გაიხსნას შემნახველ-გამსესხებელი კასსა მეჯვრისხევის ამხანაგობისა 10 მან. პაის შემოტანით. ეს 10 მ. წევრმა უნდა გადიხადოს 10 წლის განმავლობაში 1 მანეთის შემოტანით წლიურად.

ამასთანავე კრებამ დაადგინა, ნება მიეცეს გამგეობას, საბჭოს წევრებთან ერთად, საშუამავლო ოპერაციის წარმოებისა, რაზედაც უნდა აიღოს შუამდგომლობა, სადაც ჯერ არს.

მეჯვრისხევის წვრილი კრედიტის ამხანაგობა დაარსდა მეფის მოქმედება 6 მაისს 1911 წ. ამ დროის განმავლობაში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მცირე ხელფასს,—26 მან, რომელიც მიეცა ერთ დროებით გამგეობის წევრს ხაზინდარს გ. სარაულს, როგორც უფრო ხელმოკლე წევრს გამგეობისას, რომელიც თურმე ჯერ ამბობდა ამ ჯილდოსაც, ყველანი როგორც გამგეობის ისე საბჭოს წევრნი უსასყიდლოდ ემსახურებიან ამ სიმპატიურ დაწესებულებას.

არ დასწრე.

სხვა და სხვა ამბავი

საბერძნეთის მეფის მკვლელი. ათენის ერთ-ერთი გაზეთის თანამშრომელი, რომლისთვისაც ნება დაურთავთ მეფის მკვლელთან ლაპარაკისა, შემდეგს გადმოგვცემს:

როდესაც სატუსაღოში შევედი, ალექსანდრე სხინასი (მეფის მკვლელი) იატაკზე იწვა და პაპიროსს სწევდა. პირველად ხმა არ გამცა, მაგრამ, როდესაც გაიგო, რომ გაზეთის თანამშრომელი ვარ, თავისუფლად გამოლაპარაკა.

— შენ სოციალისტი იყავი?

— მე ძლიერ სოციალისტი ვარ.

— განა სოციალიზმში მეფეთა მკვლელობა ითხოვს?

— სრულიადაც არა. დანაშაული უსახური სასოწარკვეთილებამ ჩამადენინა. ათი წლის განმავლობაში [illegible] ვიყავი ნერვების სისუსტით [illegible] გამოწვეულ. როდესაც [illegible] ქალაქის [illegible] უკანასკნელი [illegible] მე [illegible] მეფე მოვკალი. მაშინ [illegible]

ბისა, ხმლით გადაერია შემოსეულ მტერს და სული დალია ბრძოლის ველზე. მისი წინასწარმეტყველება საბერძნეთის შესახებ სრულიად გამართლდა. მართლაც ტანჯვა, განსაცდელი საუკეთესო სკოლაა სულიერ ამაღლებისთვის. მაგრამ საუბედუროდ არა ყველასთვის. თუ ერთს, რომელსაც ძლიერი სიცოცხლის ძალა აქვს, ეს ტანჯვა ამაღლებს და გასაჭირი აკაჟებს, მეორეს პირიქით აძაბუნებს, კიდევ უფრო ათახსირებს და გაქრობის გზაზე აყენებს.

ათინა დაწყნარებულია. ხალხი დნიერიცაა და იმ მსხვერპლის სი[illegible]დესაც კარგად გრძნობს, რომელსაც ის სამშობლოს სწირავს. ქუჩებში ხშირია სამგლოვიარო ტანისამოსი. პატარა ძველის-ძველ ეკლესიებში ასვენია ბრძოლის ველზე გარდაცვლილთა, ცხედრები. მაღაზიებში გამოფენილია იაფ-ფასიანი სურათები სხვადასხვა ბრძოლის გამომხატველი და აგრეთვე გამოჩენილ პირთა. საკმარისია ზერელედ დაუკვირდეთ ადგილობრივ გაზეთებს, ხალხის ლაპარაკს, დუქნებში გამოფენილ სურათებს, თქვენ მიხვდებით რომ პირველი კაცი დღეს საბერძნეთში ვენიზელოსია. მისი სახელი ყველას პირზე აკერია. მისი სურათი ყოველგანაა. ვენიზელოსი ერის ნდობით სრულიად აღჭურვილია. და ეს ნდობა მანმართლაც, სავსებით დაიმსახურა. ასეც უნდა იყოს ნამდვილ საკონსტიტუციო ქვეყანაში. ხალხი ფართოდ გზას უხსნის თავის ნიჭიერ და სამშობლოსთვის თავდადებულ, უანგარო შვილებს. საბერძნეთის კონსტიტუცია ერთი ურადიკალესი კონსტიტუციათაგანია, რომელიც კი არსებობს სადმე. მოსალოდნელი იყო, რომ ასეთ მშვენიერ სახალხო იარაღს ბერძენთა ერი შესაფერად გამოიყენებდა. პირველ ხანებში ბერძნებმა ვერ ისარგებლეს შესაფერად სახალხო წარმომადგენლობით. ფინანსები აიწეწა, ჯარში და ფლოტში ნათლიმამობა და ფავორიტიზმი გამეფდა, კამარილა ბატონად გრძნობს თავს. გაუმაძღარი ევროპის ფინანსისტები, თავის ინტერესების უზრუნველ საყოფლად, საბერძნეთის შინაურ საქმეში ერევიან და გარანტიას ითხოვენ. ამ დროს ვენიზელოსი კრიტოსზეა, ის ხელმძღვანელობს კრიტოსს თავისუფლებისათვის ბრძოლაში. კრიტოსის საკითხი კიდეც ომს იწვევს საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის. საბერძნეთი სასტიკად მარცხდება. მაშინ ვენიზელოსი და მასთან ერთად სხვა პატრიოტები რწმუნდებიან, რომ ყოველ უწინარეს საჭიროა თვით საბერძნეთის სახელმწიფოს შველა. ვენიზელოსი თავს ანებებს კრიტოსს და საბერძნეთში გადადის. ვენიზელოსი საბერძნეთის ხალხის ნდობით აღჭურვილი პოლიტიკური ხელმძღვანელია.

ნამი.

(შემდეგი იქნება)

ყოველი ბედნიერი ადამიანი პირად მტრად მეჩვენებოდა.

— რატომ მაინცა და მაინც მეფე ამოირჩიე მსხვერპლად?

— ეს უბრალო შემთხვევის ბრალია. უეცრად შევხვდი მეფეს და ვესროლე.

— თუ კი არავის სიკვდილი არ გინდოდა, იარაღს რაღად ატარებდი?

— სიყრმიდანვე მიყვარა იარაღი.

— როგორ გგონია, რა სასჯელი მოგელის?

მკვლელმა მწარედ გაიღიმა და მომიგო:

— ეგ სასამართლომ უკეთ იცის.

— იცი, რას ლაპარაკობს შენზე საზოგადოება?

— თვითოეული ისეთი აზრის იქნება, როგორც მას საკუთარი გონება ეუბნება.

— განათლებული ადამიანები კი რაღას იფიქრებენ შენზე?

— იგინი, ალბად, უკეთურად არ მომეკიდებიან, მაპატიებენ... არა! შემინდობენ.

ჟურნალისტის აზრისაა, მეფის მკვლელი ავი და უსაზღვროდ თავმოყვარე ადამიანია.

◆ **მაკლაკოვის სამზადისი ბეჭდვითი სიტყვის პროექტისათვის.** შინაგან საქმეთა მინისტრმა მაკლაკოვმა კიევის გუბერნატორს მოსთხოვა ყოველმხრივი ანგარიშის წარმოდგენა ბეჭდვითი სიტყვის მდგომარეობაზე: რამდენი გაზეთი გამოდის, რა მიმართულებისაა და რამდენი ჯარიმა გადაიხადეს. 1912 წლის განმავლობაში კიევის გუბერნიაში გაზეთების ჯარიმა 8,000 მანეთს უდრის.

რუსეთი

ნერჩინსკის კატორღა.

გორნო-ზერენტუის ციხეში დიდი უწესოება ყოფილა.

მიუხედავად ციხის მთავარ სამმართველოს ცირკულიარისა, რომლის ძალითაც პოლიტიკური დამნაშავენი უნდა გამოეცალკევებინათ სხვა ტუსაღებიდან, ნერჩინსკის ციხეში სულ სხვანაირი წესებია. პოლიტიკურ დამნაშავის ანდრეევის ოთახში ჩასვეს ვინმე ლეონოვი, რომლის ხელობაც ტუსაღების ცემა იყო ორლოვის ციხეში. ანდრეევმა რამდენჯერმე მიჰმართა ციხის ადმინისტრაციას თხოვნით მოეშორებინა ლეონოვი, მაგრამ ადმინისტრაცია მის თხოვნას ყურადღებას არ აქცევდა. 4 თებერვალს ლეონოვი საკნიდან გავიდა ცხელი წყალისთვის, ანდრეევმა კარი მიუკეტა და მორიგე ზედამხედველს განუცხადა, ლეონოვს არ შემოუშვებო. მივიდა უფროსი ზედამხედველი პუნია, გაიხმო ლეონოვი ცალკე და დიდხანს ებაასებოდა. ისმოდა ლეონოვის სიტყვები,: გამიშვით, მე ვაჩვენებ სეირსო. უფროსი, როგორც ეტყობოდა, არა სთანხმდებოდა ლეოვონოვს; შემდეგ კონტორისაკენ გაემართა. იქიდან წამოიყვანა ტუსაღი საიგინი. ანდრეევის საკანი ღია იყო. ლეონიდოვი და საიგინი შევიდნენ შიგ და დაუწყეს ანდრეევს ცემა. ანდრეევი ავადმყოფი კაცი აყო, ციხეში ფილტვები დაუზიანა და, რასაკვირველია, მისი წაქცევა, ადვილი იყო. საბრალო ანდრეევს დაუნდობლად სცემდნენ. გაისმოდა მისი საშინელი კვნესა და „მიშველეს“ ძახილი. მეგობრებმა რომ გაიგეს ანდრეევის ყვირილი, დაიწყეს კარებების ბრახუნი. კარების ბრახუნზე კვნესაც მისწყდა, მაგრამ შემდეგ კვლავ განახლდა. იქვე განზე იდგა ციხის ადმინისტრაცია; უფროსი ზედამხედველი, ციხის მორიგე და მორიგი ზედამხედველი. ამათ ხელიც არ გაუნძრევიათ, საბრალო ანდრეევს არ მიჰშველებიან. როდესაც საშინელი წამება დასრულდა, ციხის ადმინისტრაცია წავიდა და საბრალო ანდრეევი თავის მწამებლებთან დასტოვეს. ანდრეევი იატაკზე ეგდო, ლეონოვი და საიგინი კი ტახტზე ჩამომსხდარიყვნენ და თვის მსხვერპს სიცილ-ხარხარს აყრიდნენ. ანდრეევს დახმარება არავინ აღმოუჩინა, არც ფერშალმა და არც ექიმმა. მას რვა დღე არა უჭამიარა. პოლიტიკურმა დამნაშავეებმა მოითხოვეს ქაღალდი, რათა ყველაფერი შეეტყობინებინათ კატორღის უფროსისთვის; ამის საპასუხოდ ადმინისტრაციამ პოლიტიკური დამნაშავენი სისხლის სამართლის ძალით დასჯილებთან მოათავსა.

არც თუ საავადმყოფოშია საქმე უკეთესად. არც ერთი ავადმყოფი არა სარგებლობს სეირნობით. ამ წლის 25 იანვარს გაიგზავნა ტუსაღთა ერთი ჯგუფი. გაზიმურის ეტაპთან შეაჩერეს კარანტინის გამო. ხუთი ტუსაღი სახადით ავად გახდა. ავადმყოფნი უკან დააბრუნეს. ორი უკვე გარდაიცვალა. („რეჩი“).

ბალკანეთის ომი

დეპეშები.

(დეპეშათა პეტერ. სააგენტოს)

21 მარტი.

სოფია. 17 მარტს დილით ბუიუქჩეკმეჯედან ბულგართა მარჯვენა ფრთის წინააღმდეგ დაიძრა ოსმალთა სამი დივიზია, რომელთაც ყუმბურგასისა და კასასტეროს სიმაგრეებიდან ეხმარებოდა საციხოვნო არტილერია. მათი წინ სვლა შეჩერებულ იქნა ბულგარელების არტილერიისაგან, რის შემდეგაც ქვეითი ჯარი ხიშტით ეკვეთა მტერს და უთავბოლოდ გააქცია. ოსმალთა დანაკლისი დიდია. 18 მარტს, დილით, სოფ. არნატიედან კვლავ დაიძრა ოსმალთა ერთი ბატალიონი, რომელიც არტილერიის სროლამ უკუაქცია. ამავე დროს ყუმბურგასიდან წამოსული, ოსმალთა რამდენიმე ბატალიონი ტყვიისმფრქვევლებით იძულებული გახდა გაქცეულიყო. ოსმალოთა იერიშს ზურგს უმაგრებდა ექვსი სამხედრო გემის არტილერია.

მოკავშირეთა პასუხს დღეს ჩააბარებენ დიდ სახელმწიფოებს.

სტამბოლი. სტამბოლის მაჰმადიანი მცხოვრებნი ბარგს იკრავენ დ ბრუსას მიდიან, უფრო შეძლებულნი კი ევროპაში მიემგზავრებიან, რადგან ეშინიანთ ქალაქში ბულგარელების შემოჭრისა. სამხედრო გუბერნატორი ყოველ ღონეს ჰხმარობს მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ მღელვარების მოსასპობად.

სოფია. მეფე ფერდინანდმა ღენ. ივანოვს უბრძანა, რათა მან ადრიანოპოლის ციხის აღმოსავლეთ ნაწილში მომქმედ ჯარს ნიშნები დაურიგოს მამაცობისათვის, ქვეითი ჯარის თითო როტაზე ოთხმოცი, ხოლო საინჟინერო დ საარტილერიო ჯარისას—ორმოცდაათი. ნამდვილი ცნობებით ადრიანოპოლის აღების დროს, სერბიელებს მოუკლეს: 268 ჯარის კაცი და 6 აფიცერი; დაუჭრეს: 1160 ჯარისკაცი და 7 აფიცერი.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტოს“ ცნობით, მიუხედავად იმისა, რომ მოსალოდნელი იყო, ბულგარეთი გაადიდებს მოთხოვნილებას ადრიანოპოლის აღების შემდეგო, პირიქით ბულგარეთის მთავრობა დათმობის გზას დაადგა. იგი მზადაა მიდია-ენოსის საზღვრის მისაღებად, მხოლოდ მცირე შესწორებას მოითხოვს სახელდობრ: მისი აზრით, საზღვარი ენოსიდან 10 მილის მანძილზე უნდა იწყებოდეს აღმოსავლეთით. რაც შეეხება სამხედრო საზღაურს, მოკავშირეები ერთდებიან საკითხის გართულებას და ამიტომ ევროპის სახელმწიფოებისაგან მხოლოდ პრინციპიალურ თანხმობას მოითხოვენ ამ საკითხზე; ხოლო რაოდენობა დ წვრილმანი ამ საქმისა შემდეგ იქნეს განხილულიო.

სტამბოლი. საპასუხო ნოტაში ოსმალეთის მთავრობა ატყობინებს სახელმწიფოებს, რომ იგი ჰგრძნობს მშვიდობიანობის სიკეთეს და ამიტომ უყოყმანოდ სთანხმდება ევროპის შუამდგომლობას. მთავრობა თანახმაა დიდი სახელმწიფოების ყველა წინადადებისა, რომელიც ზავის წინასწარ პირობებს შეეხება.

ბალკანეთი და ევროპა

დეპეშები.

21 მარტი.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტო“ იუწყება, რომ საბერძნეთმა ენერგიული განცხადება წარუდგინა დიდ სახელმწიფოებს თვისი ინტერესების დასაცავად ეპირში, რომლის ერთი ნაწილიც სახელმწიფოებს ალბანეთის ფარგალში შესატანად განუზრახავთ. საბერძნეთი წინადადებას აძლევს დიდ სახელმწიფოებს, რათა მათ დანიშნონ საგანგებო კომისია პლებისციტის მოსახდენად. ის ადგილები, რომლებსაც საბერძნეთი იჩემებს, დაპყრობილია ჩვენი ჯარითაო. განცხადებაში ნათქვამია, რომ საბერძნეთის ვერც ერთი მთავრობა ვერ აიძულებს ჯარს იმ ადგილების დათმობას, სადაც იგი ამჟამად სდგას; თვით მცხოვრებნი არ მოისურვებენ ოსმალებისა ან ალბანელების მონობაშივე დაბრუნებას.

ვენა. გაზ. „ფრემდენბლატი“ სწერს: საზღვაო დემონსტრაცია აუცილებელია. ნამდვილი ცნობებით, დემონსტრაციაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა ავსტრიისა, იტალია, გერმანია და ინგლისი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ დემონსტრაცია ერთხმად გადასწყდა და ამიტომაც საერთაშორისო ხასიათისაა. უკანასკნელი ამბებით აღელვებული, საზოგადოებრივი აზრი ჩერნოგორიის წინააღმდეგ მიღებულ ღონისძიებას სამართლიანად და საჭიროდ სთვლის.

ცეტინიე. დიდ სახელმწიფოთა საპასუხო ნოტაში ჩერნოგორიის მთავრობა მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ვერ აკმაყოფილებს მათს მოთხოვნილებას, სკუტარიდან მოქალაქეთა გამოშვების შესახებ, რადგან მთავარსარდალს შეუძლებლად მიაჩნია შიფრიანი დეპეშის გადაცემა სკუტარის ციხის უფროსისთვის. მიუხედავად ამისა, მთავრობა მზადაა ყოველ დროს შეატყობინოს ციხის უფროსს ოსმალეთის მთავრობისაგან ხელმოწერილი ბრძანება მცხოვრებთა გამოშვების შესახებ.

პეტერბურგი. საზღვაო მინისტრი სევასტოპოლს წავიდა გემებისა და ნავთსადგურების დასათვალიერებლად.

ბელგრადი. ინგლისის ელჩმა სერბიის მთავრობას განუცხადა: აუცილებლად უნდა შეაჩეროთ სკუტარის წინააღმდეგ ბრძოლა, რადგან ეს ქალაქი ევროპამ ალბანეთს აკუთვნაო. პაშიჩის პასუხზე, რომ სერბია ვალდებულია ხელშეკრულობის ძალით დაეხმაროს ჩერნოგორიასო, ინგლისის ელჩმა მოთხოვნილება გაუმეორა და თან აღნიშნა: სერბია ამგვარი საქციელით დაჰკარგავს ინგლისის სიმპატიასაო. პაშიჩმა მიუგო: ეს გარემოება ძლიერ სამწუხაროა, რადგან ჩვენ დიდად ვაფასებთ ინგლისის მეგობრობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენთვის უფრო ძვირფასია საკუთარი სინიდისი, რომელიც გვავალებს გაჭირვებაში მყოფ მოკავშირის დახმარებას.

ვენა. ვენისა და ბუდაპეშტის გაზეთები სერბიის წინააღმდეგ ამხედრდნენ და აღნიშნავენ, რომ საჭიროა ახლო მომავალში შესაფერი ღონისძიებ იქნეს მიღებული სერბიის წინააღმდეგო. გაზეთები ამასთანავე გულისწყრომას აცხადებენ რუსეთის არა ოფიციალურ წრეებისადმი, რომელნიც ჰკვებავენ სერბიისა და ჩერნოგორიის ქინიანობას. „ნეიე ფრ. პრესე“ მოწინავე წერილში ცდილობს ჩერნოგორიისა, სერბიისა და რუსეთის შეშინებას სხვადასხვანაირი ექვით. ჩერნოგორიის მეფეს გაზეთი ახსენებს იმ ყუმბარას, რომელიც მისთვის იყო სერბიაში დამზადებული. სერბიას კი ანიშნებს, რომ მეფის-წულმა მარკომ იმისთვის შეირთო ობრენოვიჩების ნათესავი ქალი, რომ სერბიის ტახტზე უჭირავს თვალიო; რუსეთის მთავრობის გასაგონად გაზეთი ამბობს, რომ ნაციონალისტები და პანსლავისტები, რომლებიც ურჩევენ რუსეთს, ნუ მიემხრობი ევროპის დადგენილებებსაო, ნიღაბ-აფარებული რევოლუციონერები არიანო.

პეტერბურგი. „დეპ. პეტ. სააგენტო“-მ გაიგო, რომ რადგან ლონდონის კონფერენციაზე აუცილებელ საჭიროებად ჩასთვალეს საზღვაო დემონსტრაციის მოხდენა ჩერნოგორიის წინააღმდეგ, რუსეთი, თუმცა მონაწილეობას არ იღებს დემონსტრაციაში, მაინც ცდილობს, რათა ამ უკანასკნელს საერთაშორისო ხასიათი მიეცეს ინგლისისა საფრანგეთის მონაწილეობით.

გაზეთებიდან.

ჩერნოგორია და სახელმწიფოები.

დიდი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა შემდეგი წინადადება მისცეს ჩერნოგორიის მთავრობას:

1) შეაჩერეთ სკუტარის წინააღმდეგ იერიში, 2) ხელი აიღეთ სამხედრო მოქმედებაზე იმ ადგილებში, რომელნიც სახელმწიფოთა დადგენილების ძალით ალბანეთის ფარგალში უნდა შევიდნენ და 3) დაუყოვნებლად გაიყვანეთ ჯარი დაპყრობილ ადგილებიდან. ამას გარდა, სახელმწიფოებმა ურჩიეს ჩერნოგორიას: ეხლავე მიიღე ღონისძიება, რომ იმ ადგილებში, რომლებიც ჩერნოგორიას ერგება, მუსულმანებისა და კათოლიკების უფლებანი ნამდვილად უზრუნველყოფილი იყოსო. გარეშე საქმეთა მინისტრმა შეატყობინა მათ, წერილობით პასუხს ერთი დღის შემდეგ მოგცემთო, მაგრამ ამასთანავე დასძინა, ჩერნოგორიას არ შეუძლიან თქვენი პირობების მიღებაო.

კონტრიბუციის საკითხი.

პარიზიდან ცნობაა: დიდ სახელმწიფოთა მოლაპარაკებიდან გამოირკვა, რომ ბულგარეთისაგან სამხედრო საზღაურის მოთხოვნას გადაჭრით არ უარჰყოფენ სახელმწიფოები. არიან იმ აზრის მომხრენიც, რომ ბულგარეთს სამართლიანი საზღაური მიეცეს შეწირულ მსხვერპლისთვისაო.

ბულგარეთ-რუმინიის დავა.

რუმინიის პირველ მინისტრად ნამყოფმა კარპმა გაზ. „ცეიტის“ თანამშრომელს უთხრა:

— საზღვრების დასაცავად რუმინია მოითხოვს ტურტუკაი-ბალჩიკის მიდამოს. თუ ბულგარეთი ნებაყოფლობით დაგვითმობს ამ ადგილს, ხომ კარგი, თუ არა და—ძალით წავიღებთო. სხვა გზა რუმინიას არ აქვს და არც შეიძლება, რომ ჰქონდესო.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.

განცხადებანი

თმის
საღებავი
კაკლის ექსტრაქტისა.
თმას სწრაფად და საფუძვლიანად ჰღებავს, სურვილისამებრ ნაზ-ქერა ფრად, თუ კუმტშავად.
თავდებნი ვართ, რომ უვნებელია.
Парф. № 4711. თევდ. მიულჰენსი,
მის იმპ. უდ. სრულ. რუს. იმპ. სასახლის იჯარადარი კოლნი და რ. ● რიგა.
დაარს. 1792 წ.
ფასი ფლაკ. ნახ. 1 მ. 20 კ. დიდი ფლაკ. 2 მან.
Мотцль. 529935 529954.
1020

მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8, საღ. 6 ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

ბათომისაკენ: სახ. №№ 107, დილ. 4 ს 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

ბაქოსკენ: ნარევ. № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

ერევანისკენ: სახ.-საბ. № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

ჯულფისკენ: საფ. № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

ყარსისკენ: სახ.-საბ. № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 9/10 б, ნაშ. 3 ს. 17 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. ნარევ. № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

ბათომიდან: სახ. № 12, დილ. 8 ს. 50 წ, **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: სახ.-საბ. № 83;7, საღ. 5 ს. 28 წ.

ყარსიდან: სახ.-საბ. № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

ჯულფიდან: სახ. № 43, დილ. 8 ს.

ბორჯომიდან: სახალ. № 9|10 б, დილ. 11 ს. 22 წ.

მიხაილოვიდან სურამში· სახ.-საბარგ. № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ. № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.,** № 68, საღ: 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

ქუთაისიდან რიონში: სახ. № 77 დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ** 1, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 84 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

რიონიდან ქუთაისს: სახ. № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ,** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპნიდან ქუთაისს: სახ. № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ. № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; სახ. № 3п შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 н, საღ 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 г ნაშ. ს. 18 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: სახ. № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: სახ № 17, ნაშუად. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომიდან ნატანებს: სახ. № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ. № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ. № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასია ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები და 3 4.

პირველი კავკასიური
თესლეულობის დეპო
ლარმე
1872 წლიდან არსებობს.
მიხეილის პროსპექტი № 10.
ჰყიდის ახალ მოსავლის საუკეთესო ღირსების
ნაცად თესლეულობას
საბოსტნოს
ყვავილებისას
მცენარეულ..ისას
ხეებისას და
საუკეთესო საზრდოს
იადონისთვის
გირვ. 25 კაპ.
პრეისკურანტი მოთხოვნილებისათანავე უფასოდ ეგზავნებათ.
1076.

ექიმი ზ. ა. [illegible] იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

ექიმი ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8— ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3. ს. გაბაშვილისა.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპურება კონსულტაციურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგახაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო. ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. გ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
ექიმი ქალი გ. ლ. რენიგერ-არეშევისა 6—7 ს.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
1004

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

◆ გამოსულ ია და იყიდება ◆
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მემოგრობა“. დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

ერთად-ერთი
ამერიკულ ვაზის სანერგე
„კლო-ჟღურული ქუთაისში“
ურჩევს და ჰყიდის საუკეთესო ყოველნაირ საძირე ამერიკულებზე დამყნილ ვაზებს, ყოველნაირ მიწებისათვის; ერთად-ერთი საშუალებაა, რომ მიიღოთ გამძლე ვენახები, კარგი მოსავალი და კარგი თვისების ღვინო.
მყიდველების ამორჩევით საუკეთესო და ახალი პირდაპირ ნაყოფიერი გიბრიდები.
კატალოგები, პრეის-კურანტები და ყოველგვარი ახსნა უფასოდ.
ქუთაისის კანტორა: მიხაილოვის ქუჩა, სახლი ძმათა გოკიელოვებისა.
მისამართი წერილებისა და დეპეშისათვის: „КЛО-ЖГУРУЛИ“, Кутаисъ. 1108

კვესის
ნაცადი
ბოსტნეულისა
და ყვავილების
თესლეულობა
1913 წელს დასათესად.
პრეისკურანტები უფასოდ ეგზავნებად.
კვეს-ისა და ამხანაგობ.
თესლეულობის საწყობი:
Михаиловская ул. уголъ Семеновской ул. № 31.
1080



მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,
ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა,
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძებველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.
1131
გამოსული ქერჩის
სელიოტკები,
და ყოველგვარი
კონსერვები.
მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარალანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მოხარშული დოში, ზურგიელი, და ყოველგვარი
◆ შავი ხიზილალა ◆

ტფილისი მუხრანის ქუჩა სტამბა, „შრომა“.